საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა "30" 05 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 777/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2013 წლის 22 აპრილის N 71991/03 განაცხადით ზურაბ წერეთლის (მის: კიკნაძის ქ.14, თბილისი, საქართველო) წარმომადგენელმა კონსტანტინე ქორქიამ მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „ზურაბ წერეთლის ღვინო" (რეგ. N 23714) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „ზურაბ წერეთლის ღვინო" (რეგ. N 23714) საქართველოში რეგისტრირებულია 30.05.2013 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 30.05.2023 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 33-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „ზურაბ წერეთლის ღვინო" (რეგ. N 23714) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით (მოთხოვნის რეგისტრაციის N 256, მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 30.05.2013).

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს გრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ეკატერინე ეგუტია

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; კონსტანტინე ქორქიას (მის: ვ.გომიაშვილის 20, თბილისი, საქართველო).

ასლი დედანთან სწორია
"30" 05 2013 წ.
ხელმოწერა

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი: ზურაბ წერეთლის ღვინო

რეგისტრაციის N: **23714**

მფლობელი: **ზურაბ წერეთელი**

მისამართი: **ნიკო ნიკოლაძის ქ.7, 0108, თბილისი, საქართველო**

კლას(ებ)ი:

33 - ალკოჰოლური სასმელები (ღვინო სხვადასხვა სახეობის).